ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2542597

ნომერი: AR1396312

თარიღი : 13.04.2016

გაცემის თარიღი : 15.04.2016

გაცნობის თარიღი : 28.07.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სტუდქალაქის ტერიტორიაზე , სპორტული კომპლექსი "ფეხბურთი ბავშვებს" მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 37-სა , და სავაჭრო ობიექტებს შორის/ ქალაქი თბილისი , ი. ჭავჭავაძის გამზირზე, გალაქტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გალაქტიონის ძეგლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ჭოხონელიძე პ/ნ 01007000662
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 55 კორ. 2 ბ. 16

ორგანიზაცია:

- სს აქსის თაუერსი კოდი: 405077704

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

# ვბრძანებ

13/04/2016წ. AR1396312 განაცხადთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად ვადის განსაზღვრის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, 13/04/2016წ. AR1396312 განაცხადით, მომართა თეიმურაზ ჭოხონელიძემ და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 09.11.2015წ. N2287762 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 09.11.2015წ. N2287762 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, სტუდქალაქის ტერიტორიაზე, სპორტული კომპლექსი "ფეხბურთი ბავშვებს" მიმდებარედ / ქალაქ თბილისში, გამზირი ი. ჭავჭავაძე, N37-სა და სავაჭრო ობიექტებს შორის / ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე, გალაქტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ / ქალაქ თბილისში, გალაკტიონის ძეგლის მიმდებარედ, სააქციო საზოგადოება „აქსის თაუერსის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.14.14.003.169), შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, 09.11.2015წ. N2287762 ბრძანებაში დაფიქსირებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები არ შეესაბამება შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციას, რის გამოც წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია გასწორდეს დაშვებული შეცდომა და დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 13975.6, საოფისე ფართობი (კვ.მ).: 18519.3, კომერციული ფართობი (კვ.მ).: 12350.4, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 5028.7, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 11052.2, დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 1387.2, აუზის ფართობი (კვ.მ).: 1899.6 მ2, სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ).: 8280.6, საერთო ფართობი (კვ.მ).: 89491.3.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.

იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს შესაძლებლობა, იმსჯელოს, 09.11.2015წ. N2287762 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში, ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე, საჭიროა, განმცხადებელმა, საოფისე ფართობის მაჩვენებლის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოადგინოს დეტალური განმარტებითი ბარათი და შესაბამისი სართულ(ებ)ის გეგმები, საოფისე ფართობში არასწორად შეყვანილი ფართების მონიშვნით და საჭიროების შემთხვევაში, გასწორებული ექსპლიკაციით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, 09.11.2015წ. N2287762 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირებული საოფისე ფართობის მაჩვენებლის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოადგინოს დეტალური განმარტებითი ბარათი და შესაბამისი სართულ(ებ)ის გეგმები, საოფისე ფართობში არასწორად შეყვანილი ფართების მონიშვნით და საჭიროების შემთხვევაში, გასწორებული ექსპლიკაციით.

2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 13/04/2016წ. AR1396312 განაცხადი დარჩეს განუხილველი.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.